საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/19

ქ. ბათუმი 22 თებერვალი, 2019 წ.

ბსუ-ს სარეზიდენტო/პროფესიული მზადების პროგრამების განსახორციელებლად მოსაწვევ პერსონალთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N4 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სტომატოლოგიური კლინიკის ,,ბსუ დენტი“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის N4 გადაწყვეტილების და ბსუ-ს სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორის, ფრიდონ ჯაფარიძის 2019 წლის 08 იანვრის N10784 სამსახურებრივი ბარათის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, მარინა ქორიძის 2019 წლის 19 თებერვლის MES 01900193693 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს **ბსუ-ს სარეზიდენტო/პროფესიული მზადების პროგრამების** განხორციელების მიზნით მოსაწვევ პერსონალთან (პროგრამის ხელმძღვანელი/მოდულის ხელმძღვანელი) დასადები **შრომითი ხელშეკრულების** თანდართული ფორმები (**დანართი 1** - მოდულის ხელმძღვანელი, **დანართი 2** - პროგრამის ხელმძღვანელი).
2. ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტთან (სტომატოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტთან) კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოს **შრომითი ხელშეკრულებების** (**დანართი 1/დანართი 2**) გაფორმება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის, მოსაწვევი პირის კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
3. ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის შემდეგ მათი სკანირება და

ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად გადაგზავნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტისათვის.

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა (სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტმა) უზრუნველყოს თითოეული **სარეზიდენტო/პროფესიული მზადების პროგრამის** მიხედვით თითოეული მოწვეული პირის ელექტრონული პირადი საქმე, რომელშიც უნდა განთავსდეს: მასწავლებლის კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების, პირობითი შრომის ხელშეკრულების, მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების (ასევე ცვლილებების) და შრომითი ხელშეკრულების ასლები.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები).
6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **შერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 თებერვლის
N 01-02/19 ბრძანების დანართი 1

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი

------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში ,,ბსუ"/,,უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ---------- ---------- მიერ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის -- ---------- მიერ (შემდეგში - „დამსაქმებელი") და მეორე მხრივ ფიზიკური პირი _____ (შემდეგში **„დასაქმებული"**), შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ში სარეზიდენტო **პროგრამის** ,,---------- ----------'' განხორციელების შემთხვევაში დასაქმებულის მიერ **მოდულის** : ---------- -------

დაკავშირებული სამომავლო შრომითი ურთიერთობის (**შემდეგში ,,შრომითი საქმიანობა"**) დარეგულირება.

1.2. დასაქმებულის შრომითი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება შესაბამისი მოდულის განხორციელების ვადების მიხედვით და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (რომელიც ჩაითვლება ამ ხელშეკრულების ნაწილად).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა და მიიღოს ბსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

ბ) მოითხოვოს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;

გ) ისარგებლოს დასვენების უფლებით, ყოველწლიური ანაზღაურებადი ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი პირობებითა და ვადით;

დ) მიიღოს ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის ანაზღაურება, საქართველოს შრომის კოდექსით და ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესითა და ოდენობით;

ე) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

ა) სამუშაო შეასრულოს პირადად, შესაბამისი სარეზიდენტო პროგრამით განსაზღვრულ სამუშაო ადგილზე (ქალაქ ბათუმში, ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შესაბამისი შენობის მისამართი, სადაც ხორციელდება მოდული/მოდულები) და უზრუნველყოს რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პრაქტიკული საქმიანობა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) შესაბამისად,

ბ) უზრუნველყოს სპეციალობის მაძიებელი კვალიფიციური კონსულტაციებით, სასწავლო მასალებით (სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურა, სხვა პროგრამული საკითხები), კურიკულუმის (სასწავლო გეგმა) შესაბამისი სამუშაო გრაფიკით;

გ) განსაზღვროს დრო რეზიდენტთან/სპეციალობის მაძიებელთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის, რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაო დაადასტუროს ხელმოწერით, მონაწილეობა მიიღოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად რეზიდენტების/სპეციალობის მაძიებლების ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში, თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში;

დ) შრომითი საქმიანობა წარმართოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შეასრულოს შესაბამისი პროგრამის (მოდულის) განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების (საქართველოს შრომის კანონმდებლობის, ,,საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომგანათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისიწარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინოდაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის № 135/ნ ბრძანების, ,,საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის № 136/ნ ბრძანების, შესაბამისი სარეზიდენტო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომით, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების და სხვა), „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, საქმისწარმოების ინსტრუქციის და ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა აქტების შესაბამისად;

ე) რეგულარულად გაეცნოს ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge);

ვ) გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის მათი დაბრუნება.

2.3. დასაქმებული შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ბსუ-ში შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.5. **დამსაქმებელი ვალდებულია:**

ა) შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები და გარემო და ამ მიზნით უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით სარგებლობა;

ბ) ბსუ-ს აქტებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის შესაბამისი ანაზღაურება;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოსათვის ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) განსაზღვრულია ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- ბრძანებით, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის გაცნობილია დასაქმებული). ტარიფის ცვლილება არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ პირად ელექტრონულ ფოსტაზე;

3.2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;

3.3. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის დაქვითვით (თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დასაქმებულის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და **დასკვნითი დებულებები**

4.1. ხელშეკრულება ძალაშია --------- წლის ---------- დან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე);

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) პროგრამის ან მოდულის გაუქმება, რომლის წარმართვის მიზნით მოწვეულია დასაქმებული;

ე) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

4.3. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

4.5. **მხარეთა ხელმოწერები:**

„დამსაქმებელი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ადმინისტრაციის მისამართი:

ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32

უნივერსიტეტის რექტორი

_____

(ხელმოწერა)

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

(ხელმოწერა)

„დასაქმებული“

სახელი, გვარი ----------

პირადი ნომერი _____

რეგისტრ. მის.: _____

ფაქტ.საცხ.ადგ: _____

ელექტ.მისამარ. _____

საკონტ.ტელ. _____

საბანკო რეკვიზიტი: ----------

(ხელმოწერა)

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 თებერვლის
N 01-02/19 ბრძანების დანართი 2

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი

-------- ---------- --------

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში ,,ბსუ"/,,უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ---------- მიერ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის -- ---------- მიერ (შემდეგში - „დამსაქმებელი") და მეორე მხრივ ფიზიკური პირი _____ (შემდეგში „დასაქმებული"), შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ში სარეზიდენტო პროგრამის ,,---------- ----------'' განხორციელების შემთხვევაში დასაქმებულის მიერ ამ პროგრამის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული სამომავლო შრომითი ურთიერთობის (შემდეგში ,,შრომითი საქმიანობა") დარეგულირება.

1.2. დასაქმებულის შრომითი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება შესაბამისი მოდულის განხორციელების ვადების მიხედვით და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (რომელიც ჩაითვლება ამ ხელშეკრულების ნაწილად).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა და მიიღოს ბსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

ბ) მოითხოვოს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;

გ) ისარგებლოს დასვენების უფლებით, ყოველწლიური ანაზღაურებადი ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი პირობებითა და ვადით;

დ) მიიღოს ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის ანაზღაურება, საქართველოს შრომის კოდექსით და ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესითა და ოდენობით;

ე) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

ა) სამუშაო შეასრულოს პირადად, შესაბამისი სარეზიდენტო პროგრამით განსაზღვრულ სამუშაო ადგილზე (ქალაქ ბათუმში, ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შესაბამისი შენობის მისამართი, სადაც ხორციელდება პროგრამა);

ბ) მონაწილეობა მიიღოს რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეზიდენტურაში მისაღები პროგრამის განსაზღვრაში და უზრუნველყოს დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის ხარისხი;

გ) განსაზღვროს რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკი, მოდულზე პასუხისმგებელი პირისა და სამედიცინი დაწესებულების მითითებით;

დ) განახორციელოს პროგრამის მიმდინერეობაზე კონტროლი (რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი; მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება; მოდულზე პასუხისმგებელი პირის/პირების მონაწილეობით დადგენილი წესის მიხედვით რეზიდენტის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება; უზრუნველყოს შესაბამისი მოდულის განხორცილებაზე პასუხისმგებელი პირის მონაწილეობით (მათთან ერთად) რეზიდენტების/სპეციალობის მაძიებლებთა ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება, თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ მოსთხოვოს მოდულის წარმართველს პირს სპეციალობის მაძიებლის/რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში;

ე) რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი ეტაპობრივი და/ან საბოლოო შეფასებისას, დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი წარუდგენოს ბსუ-ს რექტორს რეზიდენტის გარიცხვის შესახებ, რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას განსაზღვროს მოდულის/მოდულების ნუსხა, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით;

ვ) შრომითი საქმიანობა წარმართოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შეასრულოს შესაბამისი პროგრამის (მოდულის) განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების (საქართველოს შრომის კანონმდებლობის, ,,საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომგანათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისიწარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინოდაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის № 135/ნ ბრძანების, ,,საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის № 136/ნ ბრძანების, შესაბამისი სარეზიდენტო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომით, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების და სხვა), „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, საქმისწარმოების ინსტრუქციის და ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა აქტების შესაბამისად;

ზ) რეგულარულად გაეცნოს ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს (ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე მიწოდებული, ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge) ან/და სხვა ელექტრონული რესურსზე განთავსებული);

თ) გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის მათი დაბრუნება.

2.3. დასაქმებული შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ბსუ-ში შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები და გარემო და ამ მიზნით უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით სარგებლობა;

ბ) ბსუ-ს აქტებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის შესაბამისი ანაზღაურება;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

2.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოსათვის ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) განსაზღვრულია ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- ბრძანებით, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის გაცნობილია დასაქმებული). ტარიფის ცვლილება არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ პირად ელექტრონულ ფოსტაზე;

2.4. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;

2.5. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის დაქვითვით (თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დასაქმებულის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა **და დასკვნითი დებულებები**

4.1. ხელშეკრულება ძალაშია --------- წლის ---------- დან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი **პროგრამის განხორციელების** დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე);
ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) **პროგრამის გაუქმება,** რომლის ხელმძღვანელობის მიზნით მოწვეულია დასაქმებული;
ე) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

4.3. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.
4.5. მხარეთა ხელმოწერები:

„დამსაქმებელი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ადმინისტრაციის მისამართი:
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32
უნივერსიტეტის რექტორი

_____

(ხელმოწერა)

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

(ხელმოწერა)

„დასაქმებული“

სახელი, გვარი ----------
პირადი ნომერი _____

რეგისტრ. მის.: _____
ფაქტ.საცხ.ადგ: _____
ელექტ.მისამარ. _____
საკონტ.ტელ. _____
საბანკო რეკვიზიტი: ----------

(ხელმოწერა)